სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამები და მათი გავლენა მცირე და საშუალო ბიზნესზე საქართველოში 2014-2020 წლებში

ნათია ლაკია

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიის და განათლების ფაკულტეტზე ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოთხოვნების შესაბამისად.

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ანა თანდილაშვილი, მოწვეული ლექტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნათია ლაკია,

04.06.2021

აბსტრაქტი

მცირე და საშუალო მეწარმეობა ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანეს მიმართულებად, მისი რაციონალური მართვა კი, ეკონომიკური სტრატეგიის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ თემად არის მიჩნეული. ევროკავშირთან ასოცირების და თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების ხელშეკრულების ფარგლებში, საქართველოში მეწარმეობის განვითარებისთვის ფართო შესაძლებლობები იქმნება და ადგილობრივი ბიზნესიც განვითარებაზე უფრო მეტად ხდება ორიენტირებული. დღეს ქართულ და ევროპულ საწარმოებს შორის კონკურენციასთან ერთად, პარტნიორული ბიზნეს-ურთიერთობები ყალიბდება, თუმცა საქართველოში ბიზნესის შედარებით მცირე მასშტაბები და ნაკლებკონკურენტუნარიანობა, აფერხებს ევროპულ ინტეგრაციაში მისი აქტიური ჩართვის პროცესს, რაც აუცილებლად მოითხოვს მეწარმეობის სახელმწიფო მხარდაჭერის პოლიტიკის პრიორიტეტულ გატარებას და მცირე ბიზნესისათვის პრეფერენციების სისტემის ფართოდ გამოყენებას. გამომდინარე იქიდან რომ საქართველო განვითარებადი ქვეყანაა, მისი ეკონომიკა მარტივად რეაგირებს როგორც საშინაო, ასევე საგარეო შოკებზე, რაც აისახება ბიზნესის მწარმოებლურობის დონეზეც. სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამები მთავარ ბერკეტს წარმოადგენს, რომლის საშუალებითაც სახელმწიფო ახდენს მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირებას.

მსოფლიო თანამეგობრობის სისტემაში, ინტეგრაციის პირობებში ქვეყნის მიზანს წარმოადგენს ისეთი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ორიენტირებული იქნება ქვეყანაში არსებული მცირე და საშუალო ბიზნესის კონკურენტუნარიანობის ზრდაზე. აღსანიშნავი ფაქტია, რომ 2015 წლიდან სახელმწოფოს გვევლინება როგორც ერთგვარი გარანტორი საერთაშორისო ბაზარზე, რომელიც ხელს უწყობს მცირე და საშუალო მეწარმეების მიერ წარმოებული პროდუქციის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი რეკლამირებასა და მათი საქმიანობის შესახებ სრულფასოვანი ინფორმაციის გავრცელებას, კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმის გამოყენებით.

ძირითადი საძიებო სიტყვები: სუბსიდია, მცირე და საშუალო ბიზნესი, ბენეფიციარი, გრანტი, თანადაფინანსება.

Abstract

Small and medium entrepreneurship is considered to be the most important direction of economic development, and its rational management is considered to be one of the most relevant topics in economic strategy. Within the framework of the Association Agreement with the European Union and the Free Trade Agreement, there are wide opportunities for the development of entrepreneurship in Georgia, and local businesses are becoming more development-oriented. Today, along with the competition between Georgian and European enterprises, partnership business relations are being formed, however, the relatively small scale and low competitiveness of business in Georgia hinders its active involvement in European integration, which necessarily requires prioritization of state support policy Due to the fact that Georgia is a developing country, its economy easily responds to both domestic and foreign shocks, which is reflected in the level of business productivity. State subsidy programs are the main lever through which the state stimulates small and medium-sized businesses.

In the system of the world community, in the conditions of integration, the goal of the country is to develop a state policy that will be focused on increasing the competitiveness of small and medium-sized businesses in the country. It is noteworthy that since 2015, the state has emerged as a kind of guarantor in the international market, which promotes the advertising of products produced by small and medium-sized enterprises in accordance with international standards and disseminating complete information about their activities through various forms of communication.

Keywords: subsidy, small and medium business, beneficiary, grant, co-financing.